

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმორეგულირებელი მოსარეაბილიტაციო ცენტრი
დღეს მოსლოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელვებით, ცვალეზადი მიმართულებების ქარი - 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდაპლან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სიბოლო.
ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 754 მილიმეტრი.
მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

პროზა N 102

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოში განხორციელებული საგანგებო მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით და რეკომენდაციების საჯარო განხილვაზე სიტყვით გამოვიდა. მან პარლამენტის საზენიტო დამხმარე ფუნქციებსა და შესაბამის საზენიტო დამხმარე ინსტირუქების გამოყენების პრაქტიკაზე გაამხილა ყურადღება. განხილვას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყანაში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის და მესამე სექტორის წარმომადგენლები.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნებისთანავე დაკავშირებით, კანონპროექტის შემუშავების მიზნით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. „გათვალისწინებულია 12-პუნქტიანი გეგმა, რომლის შესრულებაც დაწყებულია. ჩვენი მხრიდან იგეგმება გარკვეული სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც მომზადდება ის რეკომენდაციები, რომელიც შეგვაძლებს, რომ ჩვენმა ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს. ამ რეკომენდაციების შედეგად, გვექნება გაუმჯობესებული ჩარჩო ბევრი მიმართულებით“, - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარგველაძემ.

თითქოს ყველა ამბობს, რომ არ სურთ, საქართველო რუსეთთან ზედმეტ კონფრონტაციაში იყოს, მაგრამ რაღაცნაირად ყველა აქტიური ამა თუ იმ ფორმითა და მიზნებით საქართველოს მეტი კონფრონტაციისკენ უბიძგებს, - განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ქადგივილიამ და განმარტა, რომ ის იმ ოპონენტებზე საუბრობს, რომელთაც „ზოგი ქვეყნის გარეთაა, ზოგი - ქვეყნის შიგნით, მათ შორის არიან უკრაინის ხელისუფლებაში და მათი მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ კამპანია არ სრულდება“.

„ლელოს“ დეპუტატმა ვაჰინგტონში სამუშაო შეხვედრები დაიწყო, „უმნიშვნელოვანესი შეხვედრებია დაგეგმილი კონგრესში და სენატში, ასევე სახელმწიფო დებარტამენტის წარმომადგენლებთან. პოლიტიკური წრეების, ოფიციალური წარმომადგენლობების გარდა, შეხვედრა მექნება ატლანტიკურ საბჭოში და მონაწილეობას მივიღებ დისკუსიაში, რომელიც ჰადსონის ინსტიტუტში გაიმართება“, - განაცხადა სალომე სამადაშვილი. მისივე თქმით, ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა შეეხება საქართველოს პოლიტიკურ და დემოკრატიულ გამოწვევებს, თანამშრომლობისა და პარტნიორობის ფორმებს დასავლეთთან და, კერძოდ, აშშ-თან.

მომზადდა
ი.ა. შველიძემ

ბათუმში ქართული რაბზის ახალი ისტორია დაიწყო

მანანა კიბიჭიძე 598 24 94 97
საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვება ვიხილეთ კვირას - ჩვენმა ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოიგო იტალიის ნაკრებთან. ეს იყო მორიგი ტესტ-მატი, სადაც ქართველებმა ექვსი ერი მონაწილე იტალიის ნაკრებს უმასპინძლეს და ცხრაქულიანი უპირატესობით აჯობეს - 28:19



პირველი ტაიმი ჩვენი გამარჯვებით - ექვსქულიანი სხვაობით დაასრულეს ბიჭებმა - 19:13, ხოლო მეორე ნახევარში ეს უპირატესობა კიდევ გაზარდეს. საქართველოს ნაკრების ისტორიულ მატჩს „აჭარაზე არენაში“ - ახალმა სტადიონმა უმასპინძლა. იტალიის ნაკრებიც პირველად ჩამოვიდა საქართველოში. სხვათა შორის, ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა პირველად თამაშა ბათუმში. ისეთი საოცარი ვითარება სუფევდა სტადიონზე, რომელსაც ბევრი ქვეყანა ინატრებდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ზაფხულის ტესტ-მატჩის წარუმატებელი დაწყების შემდეგ, როცა არგენტინასთან დავმარცხდით, ამ გამარჯვებამ და თან ასეთ მეტოქესთან, რა თქმა უნდა, ყველა უზომოდ გაახარა, ჩვენ ხომ იტალიასთან ოთხჯერ ვითამაშეთ სტუმრად და ოთხივეჯერ წავაგეთ.

ბათუმში დიდ რაბზისთან შესხვედრად ქალაქის მესვეურებმა ადრინად იზრუნეს. ფაქტობრივად, ქალაქი სამი დღით ადრე გადაერთო საზეიმო განწყობაზე. ყველგან ღონისძიებები ტარდებოდა, იქნებოდა ეს ევროპის მოედანი, ქალაქის ქუჩები თუ ზღვისპირა პარკის ქვიშის მოედნები, სადაც კონცერტებს, სპორტულ ღონისძიებებს მასპინძლობდნენ. ეს განწყობა მთელ ქვეყანას მოედო, რადგან ამ საინტერესო თამაშს მოუთმენლად ელოდა ყველა, ვისაც უყვარს ქართული რაბზი, ელოდა ის 20 ათასი მაყურებელი,

რომელიც უშუალოდ სტადიონზე ესწრებოდა თამაშს, და ათასობით გულშემატკივარი კი სახლში, ტელევიზორის პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს ამ შერკინებას. ახალი სტადიონი გულით ელოდა როგორც მატჩის გამარჯვებას, ისე მათ გულმხურვალე გულშემატკივარს. თამაშზე მოსულმა თითოეულმა ადამიანმა შექმნა ის განწყობა, რაც აუცილებელია და უხდება ასეთ მატჩებს. ბორჯღალოსნებმა კი ყველაფერი გააკეთეს, რომ 2022 წლის 10 ივლისს ბათუმში გამართული მატჩი ისტორიაში ჩვენი გამარჯვებით შესულიყო და მერე როგორ - ბრწყინვალე თამაშით!

დამსახურებული ჯილდო პრეზიდენტისგან - „ბერმუნსელი“

ანსამბლ „ბერმუნსას“ 18 წევრი ქართული ფოლკლორის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დირსების ორდენებით დააჯილდოვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის თქმით, „ბერმუნსას“, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიამაყეა და რომელსაც არაერთხელ წარმოუჩენია ხულო, აჭარა და ჩვენი ქვეყანა, როგორც

ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, არაერთხელ უსახელებია ქართული სული და გენი, დაუფასდა ეს დიდი ღვაწლი.
„მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ პრეზიდენტს ჩვენი ინიციატივის გაზარებისთვის. ჩვენს „ბერმუნსელს“ როცა ვუყურებთ, კიდევ უფრო მეტ მოტივაციასა და შემართებას გვრძნობთ ყველანი, ვხედავთ რომ შეიძლება დიდი შემართებით, დიდი სულით და ამ დიდი შინით ძალიან ბევრი წელი წარმატებულად იყო ქვეყნის სამსახურში. დამსახურებული დირსების ორდენი უფრო დიდ შემართებას მოგვცემს,



რომ კიდევ უფრო შორს გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის სახელი“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.
„ბერმუნსას“ დაჯილდოების ცერემონია ხულოში გაიმართა და მას პრეზიდენტთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით ვაბაიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მათა ხაჭიშვილი.



ანსამბლ ბერმუნსა



ჩაქვში სარაგბო სტადიონის მშენებლობა იწყება

- პროექტის მშენებლობის დაწყება აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ რაგბის კავშირის პრეზიდენტთან სოსო ტყემალაძესთან ერთად დააანონსა. ჩაქვის თანამედროვე სტანდარტების სპორტული მოედანზე 300 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნა მოეწყობა. ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ოფისი, გასახდელეები, პრესკონფერენციის დარბაზი განთავსდება. პროექტის ღირებულება 4,6 მლნ ლარს შეადგენს.

აჭარაში სპორტული და სარაგბო ინფრასტრუქტურა აქტიურად ვითარდება. ყველა მუნიციპალიტეტში საფეხბურთო, სარაგბო სტადიონები, მოედნები თუ სპორტკომპლექსები მშენდება. რეგიონის დიდი მიწვევები აქვს სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. რაგბის მოედნების მოწყობა მიმდინარეობს შუახევსა და ქობულეთში.

„ჩაქვში, რაგბის მოედნის მშენებლობის დაწყებასთან ერთად, დასკვნით ეტაპზეა ძალოსანთა ბაზის მშენებლობა. ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა იქნება დამატებითი მოტივაცია ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რომ მიიღწიონ უფრო დიდ წარმატებას სპორტში“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

ანბა ჩხიკვაძე



ნარმატება – ესპანეთის ბრან პრიზი

ოთარ ცხეიძემ 599 85 21 14

მადრიდში დასრულდა ესპანეთის გრან პრის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრების სახელით ტურნირში ხულოს სასპორტო სკოლის აღზრდილი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ და როგორც ყოველთვის, ახლაც წარმატებით იასპარეზეს.

67-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ევროპის და მსოფლიოს მრავალჯერ ჩემპიონმა ლერი აბულაძემ. 77-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მეორე საბრძოლო ადგილზე გავიდა ევროპის, მსოფლიო პირველობების მრავალჯერ გამარჯვებული და ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი შმაგი ბოლქვაძე. ორივე მოჭიდავის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ავთანდილ აბულაძეს.

ნაკრებში მონაწილეობის კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა ფრიდონ აბულაძემ, ხოლო 82-კილოგრამიან წონით კატეგორიაში მეორე ადგილს დასჯერდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გელა ბოლქვაძე, რომლის მწვრთნელი აწ განსვენებული ლევან შავაძე იყო, ახლა მინდია



შაინიძეა.

- ეს წარმატება, რა თქმა უნდა, პირადი მწვრთნელების დამსახურებაა, მაგრამ დიდია ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტის, აჭარის ჭიდაობის ფედერაციისა და განსაკუთრებით, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის მხრიდან, -

გვითხრა ხულოს სასპორტო სკოლის დირექტორმა ავთანდილ აბულაძემ. ხულოს სასპორტო სკოლა ულოცავს საქართველოს ნაკრებს გუნდურ პირველ ადგილს და მოჭიდავეებს, მწვრთნელებს ახალ წარმატებებს უსურვებს.

კურორტზე – უწყვეტი წყალმომარაგება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ხულოს მუნიციპალიტეტის 14 სოფელი და კურორტი ბეშუმში 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ხულოში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის 1 227 159 ლარია მობილიზებული. პროექტის ფარგლებში სასმელი წყლის სისტემა მოეწყობა ჭახურში, მინთაძეებში, გორგაძეებში, სკვანაში, ბოლარში, კვატიაში



(ხოხრას უბანი), რეაბილიტაცია ჩატარდება ზედა თხილვანაში, დანისპარაულში, ბელღეთში, გელაძეებში, კორტონში, პაქსაძეებში, ქედებში (ჭოლონის უბანი), დიაკონიძეებში. სასმელი წყლის სამარაგო რეზერვუარი მოეწყობა კურორტ ბეშუმში. პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის 14 სოფელი და ბეშუმში უზრუნველყოფილი იქნება 24-საათიანი წყალმომარაგებით.

ჩაქვში ხარაზი: ბამოცხაღებული ტენდერი დაუყოვნებლივ შეწყდას

ბათუმის საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის რეზო ხარაზის განცხადებით, ბათუმის მერიაში გამოცხადებული 3 - მილიონიანი ტენდერი ავარიული სახლების გამაგრებასთან დაკავშირებით, კორუფციულ ნიშნებს ბადებს. რეზო ხარაზი ირწმუნება, რომ დაახლოებით სამილიონიანი ტენდერი აუქციონის გარეშე გამოცხადდა და არ არის მითითებული კონკრეტული მისამართები, რომელ ავარიულ სახლს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. რეზო ხარაზის თქმით, ჩნდება ეჭვი, რომ კომპანიებიც შერჩეულია და კონკრეტული მისამართებიც, თუმცა ეს ყველაფერი მორგებული იქნება „ქართული ოცნების“ და არა ქალაქის ინტერესებზე.

როგორც რეზო ხარაზმა ბრიფინგზე აღნიშნა, ბათუმის მერია რომელ და ვის სახლებს ჩაუტარებს რეაბილიტაციას, უცნობია და „ეჭვი ჩნდება, რომ კონკრეტული კომპანიები და მისა-

მართებაც შერჩეულია, თუმცა რიჟვაძე-ჩიქოვანის ინტერესებზე იქნება მორგებული“. „ქალაქ ბათუმის მერია გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე ბათუმში ავარიული სახლების დემონტაჟის, მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის ფარგლებში სამუშაოების შესყიდვის შესახებ. შესყიდვის ღირებულება 2,999.973.00 ლარია.

აღნიშნული ტენდერი აჩენს ბევრ კითხვას, რაზეც ქალაქის მერს მოუწევს პასუხების გაცემა. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ტენდერში არ არის მითითებული კონკრეტული მისამართები, თუ რომელ ავარიულ სახლს უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია. არცერთი ჭკუათმყოფელი კომპანია არ შევა ტენდერში, თუ არ იცის, რა ობიექტის მშენებლობა - რეაბილიტაციაზე არის საუბარი. მაშინ როცა ბათუმის მერიას უკვე წლებია გააჩნია ავარიული სახლების რეესტრი - 118 მისამართით, ასევე ბათუმის მერიას შესყიდული



აქვს ავარიული სახლების კონკრეტული პროექტები, რატომ გამოაცხადა „უმისამართო“ ტენდერი აუქციონის გარეშე ქალაქის მერია? - კითხვობს რეზო ხარაზი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ითხოვს, გამოცხადებული ტენდერი დაუყოვნებლივ შეწყდეს, ასევე მიმართავს პროკურატურას, ტენდერში არსებული კითხვის ნიშნები შეისწავლოს.

ანბა ჩხიკვაძე

შავთ-კვირის ქრონიკა

ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული 34 ოჯახი ფინანსურ დახმარებას მიიღებს. ეს გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე მიიღეს. დაზარალებული 34 ოჯახისთვის საკომპენსაციოდ აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ჯამში 319 ათას ლარზე მეტი გამოიყოფა. თანხა სტიქიის შედეგად დაზარალებული საცხოვრებელი სახლების აღდგენას, მშენებლობასა და რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს. წელს აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარება სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 69 ოჯახს გაეწია.

ფილმი სახელწოდებით „თავისუფლებისთვის“ საზაფხულო თეატრის მიმდებარე, დიდ ეკრანზე უჩვენეს. იგი საქართველოსა და უკრაინის თავისუფლებისა და ევროპული მომავლისთვის ბრძოლაზე მოგვითხრობს. ფილმის ჩვენება ევროპული საქართველოს, თავისუფლების ინსტიტუტის, ტაბულას, ამომრჩეველთა განათლების საზოგადოებისა და აფხაზთა კრების დეოლოგარტიზაციის კამპანიის ფარგლებში გაიმართა.

კარტეში აჭარის პირველობა კადეტებსა და იუნიორებს შორის გაიმართა, შეჯიბრებაში სპორტსმენები 6-დან 16 წლამდე 15 წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. ასპარეზობა როგორც კუმიტეში, ასევე კატაში, ტენიისის დემონსტრირებაში ჩატარდა. აჭარის პირველობაში გუნდები ბათუმიდან, მანჩესტერიდან, ხელგაჩაურიდან, შუახევიდან და ჩაქვიდან მონაწილეობდნენ.

საქართველოს ჩემპიონატი ამპულტურა ფეხბურთელების შორის დაიწყო. ტურნირში საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან სულ ექვსი გუნდი მონაწილეობს. ჩემპიონატის პირველ ტურში „ბათუმმა“ ზესტაფონის „მარგვეთს“ უმასპინძლა და 1:5 დამარცხდა. „ბათუმმა“ გასული წლის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, „მარგვეთმა“ კი გვირ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მორიგ შეხვედრას „ბათუმში“ გორში „დილას“ წინააღმდეგ გამართავს.

ფესტივალი „ბელარუსული დღეები აჭარაში“ ბათუმში მცხოვრებმა ბელარუსებმა გამართეს. ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიება მოეწყო, მათ შორის ტრადიციული რეწვის გამოფენა და მუსიკალური საღამოები. ფესტივალის მიზანია ამ ქვეყნის კულტურის წარმოჩენა. ფესტივალის მონაწილეები, ძირითადად, ბელარუსი აქტივისტები არიან, ისინი 2020 წელს ჩამოვიდნენ ბათუმში, ამბობენ, რომ ვერ შეეგუვნენ თავის ქვეყანაში არსებულ რეპრესიებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისი კურსდამთავრებული, დავით მისიძის ინიციატივით დაგვიდა დავითი ესტუმრა, რომელსაც 100 წელი შეუსრულდა. დიარს შესანიშნავი თარიღი საუკუნის პედაგოგს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა მიულოცა და საპატიო სიგელი და შოთა რუსთაველის სახელობის მედალი გადასცა. რექტორმა დავით მისიძეს მადლობა გადაუხადა ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისთვის. დავით მისიძეს გაწეული დავითისათვის მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებულია შრომის ვეტერანის მედალით.

მომავალი ნათია იმნაიშვილი

როგორ განსაზღვრავთ იდეალურ სადღესასწაულს ბათუმში?

პოეტა და მთარგმნელ **მარკო სალი-ანსი** - განსხვავებული ხასიათისა და შინაგანი ხმის მქონე ავტორს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. პოეტის აღმართს ბავშვობიდან შეუდგა და არაერთი მთარგმნელიც გადაიარა. მის კრებულებში - „უსათაურო“, „რაშორად“ „მამარირა“ უსათუოდ დანახავთ სიყვარულის ყველა გრადაცია: სამშობლოს, სატრფოს, მეგობარს, საზოგადოდ, ადამიანს თავისი ტკივილებითა და სიხარულით, ადამიანს, რომელსაც ღრმად აქვს ფესვები გადებული საკუთარი ქვეყნის, კულტურის ისტორიაში. ერეკლე სალომანის პოეზია სვანეთის დიად ბუნებასავით ლამაზიცაა და მკაცრიც, რაც ამ ისედაც თავისთავადი პოეტის შემოქმედებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. იგი ბათუმის ხშირი სტუმარია. ამჯერად ზურაბ გორგილაძის საიუბილეო საღამოზე ვინახვით და მასთან საუბარი შესადარებლობა ხელდასრულდა არ გავუშვით.



ნენ ერთმანეთს, როგორც დღეს ხდება. ჩემი ნება რომ იყოს, ბევრ შენობას მოვაცილებდი ქალაქს და ბათუმს თავის იერს დაფუძვნიებდი. საოცარი ის არის, რომ ამასინჯეს, ამასინჯეს და ბოლომდე მაინც ვერ დამახინჯეს, მე-წი ვერ დაუკარგეს. ბათუმელებზე კი აი, რას გეტყვით, როგორც ქალაქს აქვს თავისი ხასიათი, ბათუმელსაც აქვს თავისი ხმა. ზურაბ გორგილაძის ლექსი მილიონ შემოქმედში არ აგერევა, იცნობ, რადგან აქაური სურნელით არის გაჭერებული. გრძობა ლიმონის, მანდარინის სურნელებს და ხედავ საოცარ ფერადოვნებას. მიყვარს აქაური კილო და დიდი თხოვნა მაქვს მაღალმთა აჭარაში მცხოვრებთა მიმართ: ნუ დაივიწყებენ ამ საოცარ აჭარულ დიალექტს. მას თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს. ბათუმში საქართველოს ყველა კუთხე იყრის თავს და ყველა ხდება ბათუმელი. მეც ჩემს თავს, მიუხედავად იმისა, რომ არ ვცხოვრობ აქ, თავს ბათუმელად ვთვლი.

- რა ხდება ამჟამად თქვენს შემოქმედებაში?

- ჩემს შემოქმედებაში ამჟამად პატარა შესვენების პერიოდი, მაგრამ არ ვივლი, რადგან ეს თუ არ არის, მაშინ უკვე იწყება გამოშრობა, ანუ თუ ერთმა ციკლმა ამოწურა თავისი სათქმელი, უნდა შეემზადო სრულიად ახალი ციკლისთვის. შეიძლება შექმნა უკეთესი ნაწარმოები, ვიდრე მანამდე გქონდა, მაგრამ თუ შენს შემოქმედებას არ მოაქვს ახალი, მაშინ ჯობია, გაჩერდე. ერთი ადგილის ტყეპნა ყველაზე დიდი საშინელებაა.

- გამოდის, ეს პირველი შესვენება არაა, რასაც ციკლურია. ყველაზე დიდი შესვენება როდის გქონდათ?

- სტუდენტობის პერიოდში სამი წელი ერთი პერიოდით არ დამიწერია, მაშინ ჩავიხსენე მიუტყვევებელი დანაშაული - ჩავთვალე, რომ უკვე ამოვიწურე და მთელი ჩემი ბავშვობის დროინდელი ჩანაწერები გავანადგურე. ანუ საკუთარ თავს წავართვი ბავშვობა, რასაც დღემდე ვერ ვპატიობ საკუთარ თავს.

- მაშინ ალბათ გეგონათ, რომ აღარასოდეს დაწერდით და... როგორ მოვიდა ისევ თავიდან მუხა?

- სიყვარულმა ამაღებინა ხელში კალამი. მოვიდა, შემანჯღრია, შემაჩაყვავა... ისეთი განცდა იყო... დამბარუნა ისევე პოეზიასთან. სხვათა შორის, მე და მაშინდელი სიყვარულის ობიექტი დღემდე ვმეგობრობთ, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიქცევი ერთ ოჯახად. ერთხელ მითხრა, მე გაქციე პოეტადო, მე ვუპასუხე, თუ ამდენი შეგეძლო, ბარემ ქმარდაც გმტყევე-მეთქი.

- მისდამი მიძღვნილი ლექსები ალბათ შესულია კრებულებში.

- რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ლექსია მისდამი მიძღვნილი. უმეტესობა დაგებულე, მაგრამ არის ისეთი ლექსები, რომლებიც დავიწუნე და არ შევიტანე ჩემს კრებულში.

- სხვა სიყვარულის ლექსები?

- სხვა სიყვარული უკვე ჩემი მეუღლეა. მას დიდი ჯაფა ადგას, ჩემთან ერთად შეზამულია უღელში და ღირსეულად ეწევა. ბევრი ლექსი მაქვს მიძღვნილი მისდამიც.

- როგორია ზღაპარივით მომაჭადოებელი, საქართველოს სიამაყე სვანეთი დღეს თქვენი გადმოსახედიდან?

- სვანეთი ყოველთვის იქნება საქართველოს სიამაყე, ზღაპარი... მაგრამ ამ ზღაპარშიც არის ბევრი რამე, მაგალითად, ზღაპრული ზღაპარი და მართო ზღაპარი... დღევანდელი სვანეთი მართო ზღაპარია და აი, რატომ - წავიდა ძველი ხალხი და თან გააძევა ზნეობა. არის ასეთი გამონათქვამი: სად წა-

ვიდნენ ის ჯიშინი ცხენებიო? ვადაშენდენ, თვალს მიეფარებო, და ის ვაჟკაცებიო? იმ ცხენებზე შესხდნენ და წავიდნენო... მართო სვანეთში კი არა, სამწუხაროდ, ყველგან... ანუ ბევრ ისეთ ფასეულობას ველოვით, რომელსაც არ უნდა შეგველით. ივანე ჯავახიშვილმა, ამ საოცარმა კაცმა, თქვა: ქართველებს გვაგიჟებდა უმთავრესი რამ - ჩოხა-ახალუხს, რომელიც მოარგებულია ჩვენს ტანზე, ვწუნობთ და ვეტანებით უცხო სამოსელს, აღმოჩნდება, რომ ეს უცხო სამოსელი არ არის ჩვენს ტანზე შეკერილი, მაინც ვიცვამთ, არ გვეტევა და ვგრძნობთ დეიდოშობილა. აი, ზუსტად ასეთი სურათია დღეს საქართველოში.

- აი, სვანეთიდან მთელ საქართველოზე გადავედით. გეთანხმებით და როგორც მწერალს გეკითხებით: რა არის ჩვენი მთავარი გასაჭირი, საიდან უნდა დავიწყეთ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლით?

- ჩვენი მთავარი გასაჭირი ისაა, რომ ვერც ვხვდებით, რა გასაჭირია ჩვენს თავს, ბრძნად ვართ მიხვდებითი დროის დინებას, მივყვებით, იმას ვეტანებით, რაც ზედაპირულ ინფორმაციას ემყარება და არა სიღრმისეულ წვდომას, გაუზარებლად ვმოქმედებთ. მგონი, მართო დღევანდელი დღის უბედურება არ უნდა იყოს ეს. ვიცი, რომ თქვენ სკოლაში, სვანეთში კარგა ხანს ასწავლიდით ქართულ ენასა და ლიტერატურას. ვაიხსენებთ გიორგი მერჩულეს დიდი ნაწარმოები „გიორგი ხანძთელის ცხოვრება“, სადაც აღწერილია, როგორ გადაეკადა ანჩის ეპისკოპოსი ცქირი დიდ მოძღვარს. დავაღა ანჩელებს, მისულიყვენ ხანძთაში და დაენგრიათ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. მიკირს, ამოდენა ბრბოში ერთი კაცი მაინც როგორ არ გაერია, ვინც იტყვოდა, - ხალხო, სასულიერო პირები მტრობენ ერთმანეთს, რატომ ვანგრევთ ეკლესიას, - მზად იყვენ ყველანი, რომ დაენგრიათ უფლის სახლი და გრიგოლ ხანძთელი, რომელიც ეხვეწებოდა უფალს ადამიანის გადარჩენას, პირველად შევედრა, რომ მოეკლა ის ადამიანი. ვიმეორებ, შემადარწუნებელი მართო ცქირის კი არაა, ბრბოს საქციელიცაა, დღესაც ეს გვემართება, დღევანდელი დღის

სურათია ფაქტობრივად. **- გმირი არ გვაყავს დღეს საქართველოში... -** ნიცვის ვეთანხმები, რომელიც ამბობს: „საცილავია ერთი, რომელსაც გმირი სჭირდება“. გმირი არ უნდა გვირდებოდეს, გმირობა უნდა იყოს ნორმა და როცა გმირი გვირდება, გასაცილავებული ხარ, ვეთანხმები ნიცვის... როგორ ვიჭრობთ, მარაუბოლის ბრძოლაზე, რომელმაც მსოფლიო შეძრა, მეტი არ იყო ხალხებს ბრძოლა? უკარბინა ეომება რუსეთს და შეიარაღებულია უცხოური იარაღით, ხალხელები კი კაჟიანი თოფებით იბრძოდნენ. ვიცი, რომ თქვენ სოფელ ხალდეში სტუმრობდით გურამ ხარძიანის დიდ ოჯახს. მითხარით, იმ ხალდელებს გმირი სჭირდებოდათ? არა, რადგან ყველანი გმირები იყვენ.

- ბათუმთან დიდი სიყვარული გააკავშირებთ, როგორაა დიდი იგი?

- მართლაც, უზარმაზარი სიყვარული მაკავშირებს. თავიდანვე ასე იყო, მაგრამ აჭარასთან კიდევ უფრო დამახლოვდა მამათქვენმა საშა მითაიშვილმა, ჩემმა უფროსმა ძმამ და მეგობარმა ზურაბ გორგილაძემ, დათო თედორაძემ, მოგვიანებით ფრიდონ ხალვაშის ოჯახიც გავიცანი, ასევე ჩემი ნანატრი ჩიტოშვილი, კარგი მხატვარი მალხაზ ვარშანიძე, მამია ავალიანი, ჩვენი ლეგენდა მომღერალი ალექო ხომერტიკი, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ყველა ნაგულისხმევია ღმერთმა იცოდეს.

- შეგიძლიათ რაღაც საერთო იშვით დაგვახსალოთ, როგორები ვართ ბათუმელები?

- ბათუმი საოცარი ქალაქია, რომელსაც აქვს თავისი გამორჩეული, ყველასგან განსხვავებული ხასიათი, ქალაქი, რომელსაც ზღვა კი არ ამშვენებს, თავად ამშვენებს ზღვას. ძალიან მწვედება გული, რომ ბევრს ჰგონია ბოლო დროს ბათუმი გამწვევიერდა, არადა, დამახინჯეს, თავისი ხასიათი წაართვეს, აღმართეს ეს ევროპული ტიპის ნაგებობები, რომლებითაც ვერავის განვაცვიფრებთ. ბათუმი უცხოელს განაცვიფრებს განუმეორებელი ბუნდვარით, ბოტანიკური ბაღით და იმ პატარა სახლებით, რომლებიც შენამატკილებულად იდგნენ გვერდივერდ და არ უღრენდ-

ბილიკი და კიბაეზი მოენყობა

გოტხე ცაგაძე 27 48 93

საზოგადოებას ის წლებიც ახსოვს, როცა ხიხანის ციხეზე ასვლა პრობლემა იყო, მთამსვლელებსაც კი უჭირდათ ციკაბო ფერდობის დაძლევა. მეოცე საუკუნის მიწურულს მეცენატმა და პატრიოტმა თეიმურაზ კომახიძემ და ახლანდელმა პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ ხიხანზე ასავალი გზა-ბილიკი და კიბეები გააკეთეს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. სავალი ნაწილი უკვე გამოუსადეგარია.

ახლანხან ხიხანის ციხეზე ასავალი ტურისტული ბილიკის მოწყობა დაიწყო. ერთკილომეტრიანი საფეხმავლო ბილიკის ძირითადი ნაწილი გაფართოებულია და სუფთავდება. დამონტაჟებულია მოაჯირები, კიბეები, გაკეთდება მოსასვენებელი ადგილები. პროექტს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აფინანსებს. სამუშაოები ზაფხულის ბოლომდე დასრულდება.





«ვიყოთ ქართულად, ვიხსოვროთ ქართულად!»

მენან ფორთოქალი (ფუტბარბე) ბუ-რსასა და ინგოლის ცნობილი პიროვნებაა. გასული საუკუნის 90-იან წლებში მძლავრად მუშაობდა. საზრიანმა კაბუკმა მცირე ბიზნესი წამოიწყო... დღეს ინგოლის არსებული მისი სააქრო ქალაქში ყველაზე პრესტიჟული საწარმოა, სადაც მრავალი ადამიანი დასაქმებულია. მენანი და მისი თანამემამულე ქართველები, ბიზნესთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნული ადამიანების დაცვას, ქართული ენის შენარჩუნებას. მან წლის წინ დაარსებული ქართული კულტურის ცენტრი ყველა წამოწყების მოთვე და წარმართველია



მენანის წინაპრები ორას წელზე მეტია, თურქეთში ცხოვრობენ. მათი ადგილის დედა მარეთის ხეობის ულამაზესი დასახლება ჯუმუშაური იყო. ჯუმუშაურელი ფულტკარაძეებმა და ინგოლში მცხოვრებმა მათმა ახლობლებმა კარგად იციან ერთმანეთის ფაქი. მათი დაახლოების სათავეებთან თურქეთში მცხოვრები მენან ფორთოქალი, ჯუმუშაურელები ოთარ და ნათელა ფულტკარაძეები დადგნენ. გულით გაიხარეს ინგოლელებმა, როცა ნათელა და მისი მეუღლე გენადი მიქელაძე სტუმრად ეწვივნენ. საბასუხოდ, მენანი 10-კაციანი დელეგაციით ჩამოვიდა წინაპრების მიწაზე. მათ მაწვალთაში მცხოვრები ახლობლებიც მინახულეს და ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ «შუახეობაში» მიიღეს მონაწილეობა. ბათუმში, ანბანის კოშკში გამოსამწვილობებელი საღამო გაიმართა, რომელსაც ინგოლის, საქართველოს ხელისუფლების, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები დაესწრნენ. საღამოს ორგანიზატორი მენან ფორთოქალი იყო.

ინგოლში არსებული ქართული სათვისტომო გამორჩეულ მნიშვნელობას «ჩვენებურების ფესტივალი» ანიჭებს. მენან ფორთოქალის და მისი მხარდამჭერების ინიციატივით, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უზუცესა ქართველთა ფილიალის ანსამბლი «ფესვი» მე-18 საერთაშორისო ფესტივალზეც მიიწვიეს...

პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა ინგოლში მცხოვრები და აქაური ქართველები ლამის ერთმანეთს დააშორა. სოციალური ქსელი იყო 1100 კილომეტრით დაშორებული თანამემამულის ურთიერთობის საშუალება.

ინგოლის კულტურის ცენტრის სათვისტომოს ხელმძღვანელები ცდილობენ, წინაპრების საქმესა და სახელს პატივი მიაგონ. ეს ახლახან გამართულ ღონისძიებაზე და მენან ფორთოქალთან (ფულტკარაძე) საუბარშიც წარმოჩნდა.

წინაპრების მიწა საოცარი მონატრება იცის. ეს უკვე პრაქტიკულად დავამტკიცე. ჯუმუშაურში სტუმრობის დროს ჩემმა ახლობლებმა მითხრეს, 1855 წელს აქედან, დაუმორჩილებლობის გამო, ოსმალოს რეჟიმს 15 ოჯახი ეგიპტში გადაუსახლებია. ჩვენი სათვისტომო კვ-

წინაპრების მიწამ საოცარი მონატრება იცის. ეს უკვე პრაქტიკულად დავამტკიცე. ჯუმუშაურში სტუმრობის დროს ჩემმა ახლობლებმა მითხრეს, 1855 წელს აქედან, დაუმორჩილებლობის გამო, ოსმალოს რეჟიმს 15 ოჯახი ეგიპტში გადაუსახლებია. ჩვენი სათვისტომო კვლევებს აწარმოებს და რიგი მასალები სტამბოლში არსებულ ქართულ საგანგებო დასახლებაში ორტომეულს, რომელიც ჩვენი მოგვარისა და ახლობლის, ქალბატონ შუშანა ფულტკარაძისა და მარჯახლის ხეობელი მეცნიერის, ბატონ როინ მალაქაძის ენერგიული შრომის ფასად გამოიცა. ჩვენმა დედებმა ქართული ენა კაბის კალთით შემოგვინახეს. ფერდინანში მცხოვრები ქართველების მსგავსად, ეროვნულ ადამიანებს ვიცავდით. ქართველი ქალის თურქულად ან სხვა ეროვნების მამაკაცზე გათხოვება სოფლის, ვეზირის ტრადიციული იყო. 1990 წლის შემდეგ ეს ტრადიცია, ცოტა არ იყოს, მოიშალა. მიახლოებით გათვლით, ჩვენ ამ ქვეყანაში სულ მილიონზე მეტი ვართ. მუნიციპალური და ცენტრალური მთავრობებში ჩვენი წარმომადგენლები გვყავს. მადლობა თურქეთის ახლანდელ მთავრობას, რომ ნება დაგვართო, ქართველ სათვისტომოებთან ჩვენი მშობლიური ენის წერა-კითხვის კურსები გავვე-

ლევდებ აწარმოებს და რიგი მასალები სტამბოლში არსებულ ქართულ საგანგებო დასახლებაში ორტომეულს, რომელიც ჩვენი მოგვარისა და ახლობლის, ქალბატონ შუშანა ფულტკარაძისა და მარჯახლის ხეობელი მეცნიერის, ბატონ როინ მალაქაძის ენერგიული შრომის ფასად გამოიცა. ჩვენმა დედებმა ქართული ენა კაბის კალთით შემოგვინახეს. ფერდინანში მცხოვრები ქართველების მსგავსად, ეროვნულ ადამიანებს ვიცავდით. ქართველი ქალის თურქულად ან სხვა ეროვნების მამაკაცზე გათხოვება სოფლის, ვეზირის ტრადიციული იყო. 1990 წლის შემდეგ ეს ტრადიცია, ცოტა არ იყოს, მოიშალა. მიახლოებით გათვლით, ჩვენ ამ ქვეყანაში სულ მილიონზე მეტი ვართ. მუნიციპალური და ცენტრალური მთავრობებში ჩვენი წარმომადგენლები გვყავს. მადლობა თურქეთის ახლანდელ მთავრობას, რომ ნება დაგვართო, ქართველ სათვისტომოებთან ჩვენი მშობლიური ენის წერა-კითხვის კურსები გავვე-

ლთ მზეს, საღამოს მთვარეს რომ დაინახავდნენ, ღმერთს მადლობას სწირავდნენ და ამოზნებდნენ, რომ გურჯისტანში (მემლექეთში) დარჩენილ ჩვენებურებსაც ესმით ესო. დღეს მავთულხლართები აღარ არის, უფრო მიმოსვლამ ყველაფერი გაამარტივა. გვენატრებით - მოვდივართ, მოგენატრებით - მოდიხართ. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი ცენტრების გახსნამ დედინასთან მეტად დაგვაახლოვა.

- **მშობლიურის ხილვით, ალბათ, სიამავეც გეძალდება...**
- შორს არ წავალ - 6,5 ათასი კაცი ესწრებოდა წვეწავანდელი ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას. ყველა ფესვი წამოუღდა ჩემი სისხლისა და ხორცის ნაწილი ანამარია მიქელაძეს. იგი ნათელა ფულტკარაძის შვილიშვილია. მან ლექსი მშობლიურ ენაზე წაიკითხა და სცენა თურქულ ენაზე მისაღებად დატოვა. ცრემლები ვერ შევიკავე. 5-6 აგვისტოს ჩემიანებს ისევ შევხვდები, ოღონდ - შუახევიში, ჩემთვის სათაყვანებელ ჯუმუშაურში. ისინი მე მიგებენ, მე მათი გულის ძახილი მესმის. არ მიწყინოს თქვენი გაზეთის მკითხველმა, ასე ემოციურად რომ გსაუბრობ.
- **ქველმოქმედებაზე რას იტყვი?**
- ბევრი რომ გეჩვენება, სხვებსაც უნდა უწილადო. ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდით, როცა მემლექეთთან ჩვენი კავშირები აღდგა და ერთ ადამიანს საქმიო ფული გადავუხადე, რომ

ლით მზეს, საღამოს მთვარეს რომ დაინახავდნენ, ღმერთს მადლობას სწირავდნენ და ამოზნებდნენ, რომ გურჯისტანში (მემლექეთში) დარჩენილ ჩვენებურებსაც ესმით ესო. დღეს მავთულხლართები აღარ არის, უფრო მიმოსვლამ ყველაფერი გაამარტივა. გვენატრებით - მოვდივართ, მოგენატრებით - მოდიხართ. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი ცენტრების გახსნამ დედინასთან მეტად დაგვაახლოვა.

ლით მზეს, საღამოს მთვარეს რომ დაინახავდნენ, ღმერთს მადლობას სწირავდნენ და ამოზნებდნენ, რომ გურჯისტანში (მემლექეთში) დარჩენილ ჩვენებურებსაც ესმით ესო. დღეს მავთულხლართები აღარ არის, უფრო მიმოსვლამ ყველაფერი გაამარტივა. გვენატრებით - მოვდივართ, მოგენატრებით - მოდიხართ. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი ცენტრების გახსნამ დედინასთან მეტად დაგვაახლოვა.

ყურბან ბაირამი აღნიშნეს

9, 10 და 11 ივლისს მუსლიმთა მრევლმა უდიდესი დღესასწაული - ყურბან ბაირამი აღნიშნა. ამ დღეებში ისლამის მიმდევრები მხსვერპლს სწირავენ. აღნიშნულ დღისმსახურებას საფუძვლად უდევს ბიბლიური თქმულება - აბრაამს ღმერთმა აღუსრულა ნატვრა და ვაჟი შვილი უწვალა, რომელიც მას მხსვერპლად უნდა შეეწირა. აბრაამს ღმერთმა შვილის ნაცვლად შესაწირი მხსვერპლიც უბოძა. ტრადიციულად ამ დღეებში მუსლიმთა ოჯახები საკლავს კლავენ და ახლობლებს და მეზობლებს უწილადებენ რელიგიური კუთვნილების განურჩევლად.

ქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, მოადგილე გურამ ზოიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე.

აჭარის მთიანეთის სამივე მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ მეჩეთებში ყურბან ბაირამის ღონისძიებები მოსულ მრევლს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები შეხვდნენ და მუსლიმანური სამყაროს უდიდესი დღესასწაული მიულოცეს.

ქვანის მეჩეთში ბაირამის ღონისძიების დასრულების შემდეგ პარლამენტარმა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა არსებული მეჩეთის შენობაზე მიწების საშუალებით დაათვალისწინეს. მრევლის სიჭარბე იყო ღორჭომის, ოქრუაშვილების, დიოკნისის, ხიხაძის, დეკანაშვილების, ყინაურის, ახოს, ცხომისის, ზოტიყელის, თავინურის, ბეშუმის მეჩეთებში. მრევლს დღესასწაული ხულოსა და ქედის თვითმმართველობების წარმომადგენლებმა მიულოცეს.

ხალხმრავლობა იყო შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნივაზელისა და ქვანის მეჩეთებში. აქ მოვიდნენ სა-

ქვანის მეჩეთში ბაირამის ღონისძიების დასრულების შემდეგ პარლამენტარმა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა არსებული მეჩეთის შენობაზე მიწების საშუალებით დაათვალისწინეს. მრევლის სიჭარბე იყო ღორჭომის, ოქრუაშვილების, დიოკნისის, ხიხაძის, დეკანაშვილების, ყინაურის, ახოს, ცხომისის, ზოტიყელის, თავინურის, ბეშუმის მეჩეთებში. მრევლს დღესასწაული ხულოსა და ქედის თვითმმართველობების წარმომადგენლებმა მიულოცეს.



პირველი აღივლი - დაბა ხულოს ბუნდს

ხულოს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის ვეტერანებიც თავმოებნენ და არცთუ ურიგოდ, რაც მიმდინარე ტურნირმაც ცხადყო. პირველი ადგილისა და მეორის მიერ დაწესებული თასის მოსაპოვებლად გამართულ ტურნირზე 6 გუნდი ასპარეზობდა. სამი დღის განმავლობაში მაყურებელმა კარგი სანახაობა იხილა.



ტურნირის გამარჯვებული დაბა ხულოს გუნდი გახდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილები ოქრუაშვილებისა და ვაშლივანის გუნდებმა გადაინაწილეს. ტურნირი ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ ხიხანის“ ორგანიზებით ჩატარდა. სპორტო ადგილებზე გასული გუნდების ფეხბურთელებს თასი და მედლები ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ და სხვებმა გადასცეს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინკარიძე

დადგინდა, რომ აჭარაში არსებულ წყლებში ტყვიის შემცველობა არ ფიქსირდება

ზმპრია ღაზღაპი 597 25 25 72

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, რეგიონში მიმდინარეობს კვლევები ორსულებსა და ბავშვებში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით. შარშან 0-დან 7 წლამდე, წელს კი 8-დან 14 წლამდე მოზარდებში ხორციელდება უფასო პროგრამა, რომლითაც შესაბამისი ანალიზით სისხლში ტყვიის შემცველობა განისაზღვრება. ასევე, 4500-მდე ორსულს უტარდება კვლევა ტყვიის შემცველობაზე.



სადაც არც კი ველოდით. სამწუხაროდ, ძნელი დასადგენია, ტყვია გარემოში რა გზით ხვდება, ამიტომ კვლევები ჩატარდა აჭარის ტერიტორიაზე არსებულ წყლებზე. ბუნებრივია, წყალს ყველაზე მეტად მოვიხმართ. კვლევის შედეგად დიდდება, რომ ჩვენთან წყალში ტყვიის შემცველობა არ არის და სრულიად უსაფრთხოა. გარდა ამისა, მიმდინარეობს კვლევები სახელებზე, სამწვებლო მასალებზე, ბავშვთა სათამაშოებზე, - გვითხრა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელმა რუსუდან შავიშვილმა.

როგორც ცნობილია, ტყვია მაღალტოქსიკური მეტალია, რომლის ფართო გამოყენებამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს. იგი არის კუმულირებული თვისების მქონე ტოქსიკანტი, რომელიც აზიანებს ადამიანის ორგანიზმის მრავალ სისტემას, მათ

სა შემცირდა ისეთ პროდუქტებში, როგორცაა ბენზინი, საღებავები, სანტექნიკაში გამოყენებული სხვადასხვა შენადნობი, თუმცა დღეს ტყვიის ექსპოზიციის ბევრი წყაროა დარჩენილი, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში. მომავალში დიდი ძალისხმევითაა საჭირო ტყვიის გამოყენებისა და გარემოში გამოყოფის შესამცირებლად, მისი ეკოლოგიური და პროფესიული მავნე შემოქმედების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით ბავშვებისა და რეპროდუქციული ასაკის ქალების დასაცავად.

თუ ტყვია ორგანიზმში დიდი ოდენობითაა, იწვევს ანემიას ან ნეკროლოგიურ დარღვევებს, მათ შორის თავის ტკივილს, გაღიზიანებას, ლეტარგიას, კონვულსიას, კუნთების სისუსტეს, ტრემორს, ატაქსიას, დამბლას. გარკვეული მონაცემებით ისიც დასტურდება, რომ ტყვიის ხანგრძლივი პროფესიული ექსპოზიცია ხელს უწყობს კიბოს განვითარებას.

საქართველოში ბავშვების 41 პროცენტის სისხლში ტყვიის მონაცემური შემცველობა გამოვლინდა, სწორედ ამიტომ გაეროს ბავშვთა ფონდმა ხელისუფლებას შესთავაზა, პრობლემაზე სათანადო რეაგირება მოეხდინა. გაეროს ბავშვთა ფონდმა საქართველოში შექმნა კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც სამ მიმართულებას მოიცავს: პირველი, მოხდეს პრობლემის დიაგნოსტიკა, გაიზომოს ტყვიის შემ-

ცველობა ბავშვებში, რაც მოიცავს ტყვიის შემოქმედების რისკფაქტორების ყოველწლიურ ანალიზს, როგორცაა ბავშვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ან საცხოვრებელი ადგილი. მეორე მიმართულება მოიაზრებს ტყვიით დაბინძურების წყაროების გამოკვლევას, ხოლო მესამე მიმართულება - გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ტყვიის შემოქმედების აღმოფხვრისათვის ეროვნული რეაგირების გეგმის შექმნაში. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიის პოტენციალის გაძლიერებას სხვადასხვა ნიმუშებში ტოქსიკური ნივთიერებების ანალიზის კუთხით, ამასთანავე, გარემოსა და ჯანმრთელობის შექმნას, რათა მომზადდეს რეგულარული მონაცემები დაბინძურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მხარეებისთვის. გაეროს ბავშვთა ფონდმა მხარი დაუჭირა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს საქართველოში ჯანსაღი გარემოს პირველი ანალიტიკური ლაბორატორიის შექმნაში, სადაც შესაძლებელია ადამიანების ორგანიზმში და გარემოში მავნე ნივთიერების დეტალური შემოწმება. შეიძინეს თანამედროვე ლაბორატორიული ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა მაღალტექნოლოგიური სამეცნიერო ანალიზების წარმოება. ამ აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის თემაზე გადამზადდნენ თანამშრომლებიც.

საზოგადოებრივ სივრცეში უნებართვოდ განთავსებული კონსტრუქციების ბატანა ბრძოლა

ზმპრია ღაზღაპი 597 25 25 72

ბათუმის ტერიტორიაზე უნებართვო, უსახური კონსტრუქციების, ასევე საგარეო დახლებების გატანა განხორციელდა მოქალაქეების თქმით, კონსტრუქციები ქუჩაში ანტისანიტარიის ქენის, ამავედროულად ტურისტულ ზონაში ფეხით მოსარულეთა გადაადგილებას ხელს უშლის და ქალაქის

იერსახეს ამახინჯებს. მუნიციპალური ინსპექცია უნებართვო კონსტრუქციებზე მონიტორინგს ყოველდღიურად, 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს. ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქის იერსახისთვის შეუსაბამო და მიტოვებულ ობიექტებს კანონის შესაბამისად ასაწოებებს. თუ დადგინდა, ვის ეკუთვნის კონსტრუქცია, ჯარიმდება და საქმეს სასამართლო განიხილავს, - აცხადებენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის, სამშენებლო და უსაფრთხოების საჯარო ზედამხედველობის სამსახურში. შარშან უწყებამ 716 ობიექტზე გამოავლინა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, კერძოდ: 297 უსაფრთხოების წესების დარღვევა, 251 - უნებართვო მშენებლობა, 156 - პროექტის დარღვევა, 12 - საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა. მუნიციპალური ინსპექციის მიერ მიმდინარე და გასულ წლებში დაფიქსირებული სამართალდარღვევებზე გამოცემულია 927 დადგენილება. ინსპექციის მიერ ქალაქიდან უნებართვო კონსტრუქციების გატანა მხოლოდ სეზონური სამუშაო როდია, ის რეგულარულად ხორციელდება.

უკრაინა

სასჯელი გარდაუვალია ყველა რუსი მკვლელისთვის, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ თავის მიმართვაში. უკრაინის პრეზიდენტი გამოეხმაურა დონეცკის ოლქის ქალაქ ჩასივ-იარზე სარაკეტო დარტყმას და განაცხადა, რომ ყველა, ვინც გასცემს ბრძანებებს მსგავსი დარტყმების თაობაზე, ყველა, ვინც მათ ახორციელებს უკრაინის ქალაქებსა და საცხოვრებელ უბნებზე, აბოლოლტურად განზრახ კლავს. ასეთი დარტყმების შემდეგ ისინი ვერ იტყვიან, რომ რაღაც არ იცოდნენ ან რაღაც ვერ გაიგეს. სასჯელი გარდაუვალია ყველა რუსი მკვლელისთვის, აბოლოლტურად ყველასთვის ისე, როგორც ნაცისტებისთვის. არ უნდა ელოდებოდნენ, რომ მათი სახელმწიფო დაიცავს. რუსეთი პირველი იქნება, ვინც მათ მიატოვებს, როცა პოლიტიკური გარემოებები შეიცვლება“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

გერმანია ამუხრუტებს უკრაინისთვის ევროკავშირის მხრიდან 9 მლრდ ევროს დახმარების პაკეტის დამტკიცების პროცედურას. როგორც გაზეთი Corriere della Sera ბრიუსელში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით წერს, გერმანიის ფინანსთა მინისტრი კრისტიან ლინდერტი მხარს არ უჭერს უკრაინისთვის ამ თანხის გამოყოფას საერთო ევროპული ვალის ხარჯზე, როგორც ეს უკვე მოხდა პანდემიისას. ამ დროისთვის ბერლინმა მხარი დაუჭირა მხოლოდ 1 მლრდ ევროს დახმარების გამოყოფას, რომელიც კიევითვის თვის ბოლომდე გახდება ხელმისაწვდომი. კიევის მტკიცებით, მას ყოველთვიურად 5 მლრდ დოლარი სჭირდება და თანხის უკმაყოფილობის შემთხვევაში ქვეყანამ სექტემბერში შესაძლოა დეფოლტი გამოაცხადოს. ეს მოხდება იმ დროს, როცა მოახლოვდება საგარეო ვალის მომსახურების პერიოდი. გაზეთი ირწმუნება, რომ დახმარების ბლოკირება უკრაინის ხე-

ლისუფლებაში გაღიზიანებას იწვევს. როგორც ცნობილია უკრაინისთვის 9 მლრდ ევროს დახმარების პაკეტი ევროკომისიამ გაზაფხულზე დაამტკიცა. ეს არის 25-წლიანი უპროცენტო სესხი, რომლის დაბრუნებაც კიევი ევროზონის მიერ მექანიზმის გამოყენებით შეძლებს. *** დონეცკის ოლქის ქალაქ ჩასივ-იარში ხუთსართულიანი შენობის ნანგრევებიდან მაშველებმა 19 დაღუპულის ცხედარი ამოასვენეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. „ქალაქ ჩასივ-იარში დაბომბვის შედეგად დაწვრილებული 5-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნანგრევებიდან მაშველებმა კიდევ ერთი გარდაცვლილი ცხედარი ამოიყვანეს. სულ ნაპოვნია 19 გარდაცვლილი“, - ნათქვამია განცხადებაში. მათივე ინფორმაციით, ნანგრევებში მოყოლილი 8 ადამიანის გადარჩენა მოხერხდა. სამძებრო-სამშველო სამუშაოები გრძელდება. *** რუსულმა ძალებმა გუშინ დილით მიკოლაივს ექვსი რაკეტა ესროლეს. წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა, - ამის შესახებ მიკოლაივის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიტალი კიმი იუწყება. „11 ივლისს, დილით, მიკოლაივი აფეთქებების ხმები გაისმა. ინფორმაცია ზუსტდება. ახლა შევითვალისწინებ, რომ 6 რაკეტა იროლეს. მსხვერპლი არ არის (დაშავებულია ერთი ადამიანი)“, - განაცხადა კიმი. მისივე ინფორმაციით, რუსული ძალების მიერ 10 ივლისს განხორციელებული დაბომბვის შემდეგ ბერეგოვოვსკის დასახლებასა და სოფელ ლიდანში მიწოდებულ ნივთებში იყვით.

სრულმასშტაბიანი შეტყობის დაწყების შემდეგ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ 22500-ზე მეტი ომის დანაშაული ჩაიდინა, - ინფორმაციას უკრაინული მედია გენერალური პროკურატურაზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, ასევე რეგისტრირებულია 10 922 დანაშაული ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ, აქედან 7606 არის უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ხელყველა, 1283 - სახელმწიფო დალატი, 1534 - კოლაბორაციული ქმედება, 87 - აგრესორი სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევა, 64 - დივერსიული აქტი და 348 - სხვა დანაშაული. უკრაინის გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, რუსული აგრესიის მსხვერპლი ათასამდე ბავშვი გახდა, აქედან დაიღუპა - 347, დაშავდა 648.

მოამზადა ნაირა ვუტკარაძე

მთავარი რედაქტორი მარიანა მითაიშვილი	გამომგვამი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ სომარიკი	<small>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარედაქციო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რედაქციის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</small>	გამომგვამი - შპს «ბაზეიი აჭარა ლა პრესი» კოლმედიის მიმსახურება შპს «კოლორ პრესი» მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3	მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილი ქ. №2 ტელ: 27-13-31 აიხსოვს და დააკავშირება გაზეთი აჭარის კოლა. ცენტრი დასაბეჭდად ხელმოწერის 11/07/22, 21 სთ.	ლიტერატორი გაგუკა ბერიკე
---	---	---	--	---	---

